



ტრანსპორტი და დასაწყობება- ინდუსტრიის კვლევა საქართველოში

მომზადებულია 2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით





შინაარსი

გვერდი 3 - მეთოდოლოგია

გვერდი 4 - კვლევის შედეგები

გვერდი 6 - ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

გვერდი 11 - ძირითადი მოთამაშეები

გვერდი 12 - ფინანსური კოეფიციენტები



კვლევის მიზანი

მოცემული კვლევა ემსახურება სატრანსპორტო და დასაწყობების ინდუსტრიის მიმოხილვას, არსებული ტენდენციების გამოვლენას, პირველი, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის კომპანიების 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

რეპორტში წარმოდგენილია დარგის საშუალო ფინანსური მაჩვენებლები, რომელიც აყალიბებს დარგის "ბენჩმარკს" და იძლევა ინფორმაციას მის ფინანსურ მდგომარეობაზე.



მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები აღებულია ანგარიშგების პორტალის ვებგვერდიდან, სადაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება.

მოცემული სატრანსპორტო კომპანიები ეკუთვნის, პირველ მეორე და მესამე ზომით კატეგორიას.

აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა 2020 წლის მონაცემებს, კვლევაში განხილული იქნება სატრანსპორტო და დასაწყობების ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიები, რომელთა რაოდენობაც ჯამურად შეადგენს 63-ს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია დარგის მიმოხილვაზე, კონკრეტულად კი კომპანიების რაოდენობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე, მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და ანგარიშგების პორტალიდან.





კვლევის შედეგები

კვლევა მიმოიხილავს სატრანსპორტო და დასაწყობების დარგში არსებულ კომპანიებს, რომელთა ჯამური ბრუნვა 2020 წელს აღემატება 1,693 მილიონ ლარს, აქტივების ჯამი კი 6,625 მილიონ ლარს.



მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში არსებულ სატრანსპორტო კომპანიებს, გააჩნიათ შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: მოგებამ აქტივებზე საშუალოდ შეადგინა (ROA) 21%, მოგებამ კაპიტალზე კი (ROE) 44%.

გარდა ამისა, დადგინდა ფინანსური კოეფიციენტები ინდუსტრიის საშუალო ლიკვიდურობის და გადახდის უნარიანობის შესახებ.





კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა სატრანსპორტო სააგენტოების 2020 წლის საშუალო მონაცემები. მოცემული 63 კომპანიდან 2 მიეკუთვნება პირველ კატეგორიას, 19 მეორე კატეგორიას, 41 მიეკუთვნება მესამეს კატეგორიას და ერთი კომპანიას გააჩნია ესდბ სტატუსი.

ათასი,ლარი

საშუალო რეალიზაცია




ათასი,ლარი

საშუალო მთლიანი აქტივები



ათასი,ლარი

საშუალო მოგება/ზარალი დაბეგვრამდე




ტრანსპორტი და დასაწყობება- ინდუსტრიის მიმოხილვა



საქართველოში ტრანსპორტითა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული კომპანიების ბრუნვის მოცულობამ 2020 წელს 5778.4 მლნ.ლარი შეადგინა, ხოლო 2021 წლის მესამე კვარტალში 1714.6 მლნ. ლარს გაუტოლდა. 2020 წლიდან საგრძნობლად შემცირდა განვითარების ტემპი აღნიშნულ ინდუსტრიაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ საქმიანობებში, რაც არსებულმა პანდემიურმა სიტუაციამ განაპირობა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის ეკონომიკის საკმაოდ დიდი ნაწილი ტურიზმის შემდეგ ტრანსპორტსა და დასაწყობებას ეკავა, მოსალოდნელი იყო დღევანდელი შედეგები. თუმცა, შესაძლებელია, რომ კრიზისული სიტუაციის დაძლევის შემდგომ საქართველოში ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიამ კვლავ განაგრძოს ზრდა, ეკონომიკის ძველ ნიშნულებთან დაბრუნების პარალელურად. ტრანსპორტისა და დასაწყობების ბრუნვის მოცულობა იზრდებოდა წლიდან წლამდე, ხოლო 2020 წელს შედარებით შემცირდა. მნიშვნელოვანია ეტაპობრივად, ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიებმა განახორციელონ ცვლილებები და დანერგონ შესაბამისი სტანდარტები, რაც შეესაბამება როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში არსებულს, რათა დარგი გახდეს კიდევ უფრო მიმზიდველი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიების ბრუნვის მოცულობა ჯამურად და რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება:

ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიების ბრუნვის მოცულობა


მლნ.ლარი



წყარო:geostat.ge

ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიების ბრუნვის მოცულობა რეგიონების მიხედვით

მლნ.ლარი




წყარო:geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიების ბრუნვის მოცულობის მიხედვით ლიდერობს თბილისი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსიქსირდა 2019 წელს და შეადგინა 3941.9 მლნ.ლარი. მეორე და მესამე ადგილს იკავებს სამეგრელო-ზემო სვანეთი და აჭარა.

ტრანსპორტი და დასაწყობება- ინდუსტრიის მიმოხილვა




საქართველოში ტრანსპორტითა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2021 წლის მესამე კვარტალში 54,282 კაცი შეადგინა. წინა წლის მონაცემები ასე გამოიყურება:



წყარო:geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2019 წლის ჩათვლით ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა მზარდი იყო, ხოლო 2020 წელს 4 335 კაცით შემცირდა. რაც შეეხება სატრანსპორტო და დასაწყობების კომპანიებში დაქირავებულთა რაოდენობას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემდეგია:



წყარო:geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზემოთ აღნიშნულ კომპანიებში დაქირავებულთა მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო მინიმალური 2016 წელს.




ტრანსპორტი და დასაწყობება- ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიებში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, შემდეგია:

ლარი

დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიებში




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება მზარდია ტრანსპორტისა და დასაწყობების კომპანიებში. ხოლო აღნიშნულ ინდუსტრიაში შრომითი დანახარჯები, შემდეგია:

მლნ. ლარი

შრომითი დანახარჯები ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში



წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შრომითი დანახარჯები ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში მზარდი იყო, გამონაკლისია 2020 წელი, სადაც 6%-ით შემცირდა 2019 წლის მონაცემთან შედარებით.




ტრანსპორტი და დასაწყობება- ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში პროდუქციის გამოშვება, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასე გამოიყურება:

მლნ. ლარი

პროდუქციის გამოშვება ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში




წყარო: geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოში ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში პროდუქციის გამოშვება მზარდი იყო 2019 წლის ჩათვლით, ხოლო 2020 წელს 9,7%-ით შემცირდა. რაც შეეხება შუალედურ მოხმარებასა და დამატებულ ღირებულებას, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ასეთია:

მლნ. ლარი

დამატებული ღირებულება და შუალედური მოხმარება ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში



წყარო: geostat.ge

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება დამატებული ღირებულებისა და შუალედური მოხმარების მაჩვენებლების შემთხვევაშიც.




ტრანსპორტი და დასაწყობება- ინდუსტრიის მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში საქონლისა და მომსახურების ყიდვები და გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ასე გამოიყურება:

მლნ.ლარი

საქონლისა და მომსახურების ყიდვები და გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვები ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში




წყარო:geostat.ge

რაც შეეხება ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში ინვესტიციებს ფიქსირებულ აქტივებში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ასეთია:

მლნ.ლარი

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში



წყარო:geostat.ge

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ტრანსპორტისა და დასაწყობების ინდუსტრიაში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა 2017 წელს- 1672.6 მლნ.ლარი, ხოლო მინიმალური 2019 წელს - 362 მლნ.ლარი.




ბაზრის ძირითადი მოთამაშეები (2020 წ)

ათასი, ლარი


აღნიშნული კომპანიების ჯამური შემოსავალი წარმოადგენს კვლევაში წარმოდგენილი სატრანსპორტო კომპანიების მთლიანი შემოსავლების 27 %-ს.

ტოპ 5 კომპანია შემოსავლების მიხედვით (2020)




ტოპ 5 კომპანია აქტივების მიხედვით, (2020წ)

ათასი, ლარი



მოგება დაბეგვრამდე, ტოპ 5 კომპანია (2020წ)

ათასი, ლარი






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები (2020 წ.)

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

კვლევის შედეგად გამოვლინდა სატრანსპორტო კომპანიების ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტებმა შეადგინა 6.98 და 4.88, როდესაც ლიკვიდურობის კოეფიციენტი 1-ზე მეტია, ინდიკატორი ითვლება დამაკმაყოფილებლად.


ტრანსპორტი და დასაწყობება



მომგებიანობის კოეფიციენტები

საქართველოში მოქმედი სატრანსპორტო კომპანიების მომგებიანობის კოეფიციენტებმა შეადგინა შემდეგი: წლიური მოგება აქტივებზე მწარმოებელთათვის შეადგენს (ROA) 21%-ს, ხოლო მოგება კაპიტალზე ROE შეადგენს 44%-ს,

ტრანსპორტი და დასაწყობება






ინდუსტრიის საშუალო ფინანსური კოეფიციენტები(2020წ.)

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები

ვალდებულებები შეფარდებული აქტივებთან კოეფიციენტი გვიჩვენებს, მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებას. სატრანსპორტო კომპანიებისათვის უტოლდება 0.8-ს, ასევე აღსანიშნავია ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 1,84-ს. ეს მაჩვენებელი მიუთითებს თუ რამდენად აღემატება ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებს.


გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი სატრანსპორტო კომპანიებისათვის 2020



ეფექტურობის კოეფიციენტები

აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი სატრანსპორტო კომპანიების შემთხვევაში უტოლდება მხოლოდ 2.6-ს, რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ახერხებს კომპანია მისი აქტივების გამოყენებას გაყიდვების მოცულობასთან მიმართებაში, დებიტორული დავალიანების კოეფიციენტმა კი შეადგინა 10.93

ეფექტურობის კოეფიციენტები სატრანსპორტო კომპანიებისთვის, 2020



AGIC

რეპორტი მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია AGIC-ის მიერ, რომელიც მოღვაწეობს 2007 წლიდან და უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას აუდიტის, საბუღალტრო, ბიზნეს საკონსულტაციო და მარკეტინგის მიმართულებით.

კომპანიის გუნდი შედგება 50-ზე მეტი მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან განვითარებასა და კლიენტების წარმატებაზე.

აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია "AGIC" არის "PrimeGlobal"-ის წევრი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს გლობალური, კომპლექსური და სხვადასხვა სირთულის პროექტები პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს 105-ზე მეტ ქვეყანაში.



0171, პ. ქავთარაძე #10, I შესახვევი,
სართული 4 თბილისი, საქართველო



(995 322) 500 130



(995 599) 34 33 48



info@agic.ge

